ოქმი:**ო63. 63261742**
თარიღი:**23/06/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 18

ქ. სამტრედია. 19 ივნისი, 2026 წელი.

2026 წლის 19 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 17 და 18 ივნისის წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 17 ივნისის*** N62-622616865 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 აპრილის №62-622611898 მიმართვით გადმოგზავნილ მომართვაზე დამატებით დოკუმენტაციას. კერძოდ, სოფელ დიდი ჯიხაიშში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის 2026 წლის 15 ივნისის №01-622616650 მოხსენებით ბარათს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მცხოვრებთა განცხადებას (15.06.2026).

(მომართვის N62-622616865 **17/06/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326168001-63 17/06/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 18 ივნისის*** N 62-622616924 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 9 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხს.

(მომართვის N 62-622616924 **18/06/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326169001-63 18/06/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

3. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 18 ივნისის*** N62-622616994 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 ივნისის №62-622616787 მიმართვით გადმოგზავნილ წერილზე, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის კორექტირებულ ვერსიას.

(მომართვის N62-622616994 **18/06/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261693-63 18/06/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი